ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 52
29/09/2017

52-04-4-201709291700

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის პეტიციის ელექტრონული ფორმით წარდგენის სისტემის დანერგვის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის მიზანშეუწონლობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ე“ ქვეპუნქტის და ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის 117-ე მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. მიზანშეუწონლად იქნას მიჩნეული ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნა, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის პეტიციის ელექტრონული ფორმით წარდგენის სისტემის დანერგვის თაობაზე.
2. პეტიცია გადაგზავნილი იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანადატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში.
3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა - აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე